

შპს კომპი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

შპს კომპი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	11
5. სავაჭრო მოთხოვნები.....	11
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
7. ძირითადი საშუალებები	12
8. სავაჭრო ვალდებულებები	13
9. სასესხო ვალდებულებები	14
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	14
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
12. ხელფასები და სხვა სარგებელი	15
13. სხვა შემოსავლები.....	15
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23 (გადაანგარიშებული)	31-12-22 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	158210	26,436	65,141
სავაჭრო მოთხოვნები	5	291316	39270	37340
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	482,014	535,876	423,636
სხვა მიმდინარე აქტივები		0	4,611	30
სულ მოკლევადიანი აქტივები		931540	606193	526147
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	108,076	374795	365323
სულ გრძელვადიანი აქტივები		108076	374795	365323
სულ აქტივები		1039616	980988	891470
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	492,592	420,624	245,616
გადასახდელი ხელფასები		0	0	0
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		0	82,985	44362
სხვა ვალდებულებები	9	16721	52640	45572
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		509313	556249	335,550
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		509313	556249	335550
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
საანგარიშო პერიოდის მოგება- ზარალი		530303	424739	555920
სულ საკუთარი კაპიტალი				
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1039616	980988	891470

დირექტორი

გიორგი ხატიამჭილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან		4357276	2,981,705
რეალიზაციის დანახარჯები		-3723756	-2,476,730
საერთო მოგება		633520	504,975
იჯარის ხარჯები		-128,934	-22500
ხელფასები და სხვა სარგებელი		-274,396	-235,307
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		-13,567	-12,906
სხვა შემოსავლები		74855	3,731
საპროცენტო ხარჯი		-	-7713
სხვა ხარჯები		-185914	-361461
სულ საოპერაციო ხარჯები		-527956	-636156
		-	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		105564	-131181
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისისთვის		424739	555920
მოგების გადასახადი			
მთლიანი შემოსავალი		530303	424739

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კომპი დაფუძნდა 2019 წლის 16 ოქტომბერს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზ., კორ. 2, ბ. 143 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 406292453

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორს წარმოადგენს გიორგი ხატიაშვილი პ/ნ 01011053726.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით.

კერძოდ: კლიენტს შეუძლია მაღაზიაში შეიძინოს კომპიუტერული ნაწილები და ადგილზევე მიიღოს კომპიუტერის აწყობის მომსახურება.

შპს კომპი საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი მოწინავე კომპანიაა წარმოადგენს. მას აქვს ორი ფილიალი მისამართებზე: თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზ., კორ. 2, ბ. 143 და თბილისი დიდი დიდოში მირიან მეფის 20 ნომერი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას მომავალში. კომპანიის მფლობელს სურვილი აქვს, განავითაროს მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

1. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

1.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში. კომპანიას 2024 წელს არ ქონია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები რადგან შეძენა-რეალიზაციას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე.

1.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	50
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

1.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

1.4 ნასესხები სახსრები (სასესხო ვალდებულებები)

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

1.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

1.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

1.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

1.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

1. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრები ნაწილს ინახავს სალაროში.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	158210	26436
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	158210	26436

1. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება ძირითადად რეზიდენტ მყიდველებს.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-24	31-12-23
რეზიდენტი მყიდველები	291316	39270
სულ სავაჭრო მოთხოვნები	291316	39270

2. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები:

მათი ნაშთები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-24	31-12-23
საქონელი	482014	535876
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	482014	535876

3. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია/ ჩამოწერა	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა	327294	327294		0
კომპიუტერები და ნაწილები	6020	888	6310	11442
ოფისის აღჭურვილობა	12196	-	10487	22683
ავეჯი და სხვა ინვენტარი	14978	448	29970	44500
სხვა	34399	1952	21678	54125
სულ	394887	330582	68449	132750
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია/ ჩამოწერა	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა ცვეთა	8781	8781		0
კომპიუტერები და ნაწილების ცვეთა	929	167	2270	3031
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	4306	-	2774	7081
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	5111	37	5742	10816
სხვა	965		2780	3745
სულ	20092	8985	13567	24674

ძირითად საშუალებებზე 2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია/ ჩამოწერა	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა	327294	-	-	327294
კომპიუტერები და ნაწილები	2351	-	3668	6020
ოფისის აღჭურვილობა	16306	10769	6659	12196
ავეჯი და სხვა ინვენტარი	25150	11396	1224	14978
სხვა	7876	683	27206	34399
სულ:	378977	22849	38757	394887

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია/ ჩამოწერა	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობის ცვეთა	2240	-	6541	8781
კომპიუტერები და ნაწილების ცვეთა	60	-	870	929
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	5195	2849	1960	4306
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	5164	3396	3343	5111
სხვა	999	224	191	965
სულ	13658	6469	12906	20092

1. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები უკავშირდება რეზიდენტ მომწოდებლებს.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
რეზიდენტი მომწოდებლები	492,592	420,624
სულ სავაჭრო ვალდებულებები	492,592	420,624

2. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებულ სესხად.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სასესხო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	-	-
ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხი	-	82,985
სხვა სასესხო ვალდებულებები	-	-
სულ სასესხო ვალდებულებები	-	82,985

3. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით,

კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფა

.დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	4357276	2,981,705
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა		
სულ:	4357576	2,981,705
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	-3723756	-2,476,730
სულ:	-3723756	-2,476,730
საერთო მოგება	633520	504975

4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ცვეთის ხარჯი	13567	12906
იჯარის ხარჯი	128934	22500
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	185914	361461
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	328415	396867

1. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	274396	235307
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	274396	235307

2. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებში მოცემულია ისეთი შემოსავლები, რომლებიც განსხვავდება საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროსგან და არ წარმოადგენს ყოველდღიური ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს. ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა შემოსავლები	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	74855	3731
სხვა	-	-
სულ სხვა შემოსავლები	74855	3731

3. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.